საქმე №2/11-14წ
210210014414224

1224583261045
www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

(საქართველოს სახელით)
საჯარო შეტყობინების შესახებ

01.07.2014 წელი ქ. სიღნაღი

სიღნაღის რაიონული სასამართლო
მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილი

მოსარჩელე: სს ,,პროკრედიტ ბანკი"
მოპასუხე: ჰამზალი მამედოვი;
ვაგიფ აღამედოვი;
ბაჰლულ ნამაზოვი;

დავის საგანი: დავალიანების გადახდის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია;

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გზავნილის საჯაროდ გამოქვეყნების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2014 წლის 23 იანვარს სს ,,პროკრედიტ ბანკი"-ს წარმომადგენელმა თამარ ჩანგიშვილმა სარჩელით მომართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების ჰამზალი მამედოვის, ვაგიფ აღამედოვის და ბაჰლულ ნამაზოვის მიმართ და ითხოვს მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ 16323.92 ლარი, ასევე საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის სასარგებლოდ 10499.81 ლარი. რომელთა გადახდა მოხდეს მის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის გზით (საკადასტრო კოდი 54.10.55.079). მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაა მოპასუხეებს დააკისოთ მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა 804.72 ლარის ოდენობით მათ მიმართ მოთხოვნის პროპორციულად, მოპასუხეებს ჰამზალი მამედოვს და ვაგიფ აღამედოვს ასევე დაეკისროს სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით და სასამართლოს გარეშე ხარჯის: საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლების ხარჯის 45 ლარის და ყადაღის რეგისტრაციის მოსაკრებლის 40 ლარის გადახდა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ, სს ,,პროკრედიტ-ბანკი"-ს სარჩელი მიღებული იქნა განსახილველად.

სარჩელის განსახილველად მიღების შემდგომ მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების ვალდებულება იკისრა მოსარჩელის წარმომადგენელმა თამარ ჩანგიშვილმა.

2014 წლის 25 მარტს მოსარჩელის წარმომადგენელმა თამარ ჩანგიშვილმა განცხადებით მომართა სასამართლოს და წარმოადგინა მოპასუხეების ვაგიფ აღამედოვის და ბაჰლულ ნამაზოვისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე მოპასუხე ჰამზალი მამედოვისათვის სასამართლო გზავნილის ორჯერ გაგზავნის და მისი ჩაბარების შეუძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. საფოსტო გზავნილების რეესტრიდან, ირკვევა, რომ ადრესატი არ იმყოფება სახლში, გაქცეულია. მოსარჩელის განმარტებით მათთვის ცნობილი არ არის, რომ მოპასუხემ შეიცვალა ადგილსამყოფელი, მას ამის შესახებ ბანკისათვის არ უცნობებია, ასევე არ განუხორციელებია საცხოვრებელი მისამართის ცვლილების რეგისტრაცია შესაბამის სამსახურში.

2014 წლის 25 მარტს სს ,,პროკრედიტ ბანკი -ს წარმომადგენელმა თამარ ჩანგიშვილმა განცხადებით მომართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს და ითხოვა მოპასუხე ჰამზალი მამედოვისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება საჯარო შეტყობინების გავრცელების გზით.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა საჯარო შეტყობინებაზე და ჰამზალი მამედოვისათვის გზავნილის გადაცემა დაევალა შსს ლაგოდეხის რაიონულ სამმართველოს, ვინაიდან მისი რეგისტრირებული მისამართია ლაგოდეხის რაიონი, სოფელი განჯალა. შსს ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს აფენის პოლიციის განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორის გურამ ტალახაძის 2014 წლის 23 აპრილის წერილით ირკვევა რომ, მოპასუხე ჰამზალი მამედოვს ვერ ჩააბარეს სს,,პროკრედიტ ბანკი"-ს სარჩელი და თანდართული მასალები, რადგან მოპასუხე ამჟამად თავის საცხოვრებელ მისამართზე, ლაგოდეხის რაიონის სოფელ განჯალაში არ იმყოფება და თავის ოჯახთან ერთად წასულია სამუშაოდ დედოფლისწყაროს რაიონში, შირაქის ტერიტორიაზე მდებარე მოქალაქე გრიგოლ ბექურიძის კუთვნილ ფერმაში, სადაც მუშაობს მწყემსად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს 2014 წლის 05 მაისის განჩინებით მოპასუხე ჰამზალი მამედოვისთვის გზავნილის ჩაბარება დაევალა შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს. ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილის იოსებ ბუთხუზის 2014 წლის 03 ივნისის მომართვით ირკვევა, რომ ჰამზალი მამედოვი ნამდვილად მუშაობდა მწყემსად გრიგოლი ბექურიძესთან 2012 წლის 2014 წლის მაისის თვემდე, თუმცა გ.ბექურიძემ სატელეფონო საუბარში აღნიშნა, რომ აღნიშნული პიროვნება მაისის თვის დასაწყისში, რიცხვი არ ახსოვს წავიდა მისი ფერმიდან მისთვის უცნობ მისამართზე.

2014 წლის 19 ივნისს სს ,პროკრედიტ ბანკი"-ს წარმომადგენელმა თამარ ჩანგიშვილმა განმეორებით მომართა სასამართლოს განცხადებით და ითხოვა მოპასუხე ჰამზალი მამედოვისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება საჯარო შეტყობინების გავრცელების გზით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეს სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ხოლო ამ მუხლის მე-2 ნაწილით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. გამომდინარე აღნიშნულიდან, სასამართლო გზავნილის შესახებ მოპასუხეს უნდა ეცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების მეშვეობით, ამასთან მოპასუხეს ეცნობოს, რომ საქმის მოსამზადებელი სხდომა გაიმართება 2014 წლის 6 აგვისტოს 13:00საათზე სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სხდომის დარბაზი N3.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1.სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 ივნისის განჩინების საჯაროდ გავრცელებით მოპასუხე ჰამზალი მამედოვს ეცნობოს, რომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/11-14წ, სს ,,პროკრედიტ ბანკი"-ს სარჩელის გამო მოპასუხეების ჰამზალი მამედოვის, ვაგიფ აღამედოვის და ბაჰლულ ნამაზოვის მიმართ დავალიანების გადახდის დაკისრების (16323.92 ლარი, ასევე საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის სასარგებლოდ 10499.81 ლარი) და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით;

სარჩელს დაერთვის:
ა. გენერალური ხელშეკრულება №FW60.124;
ბ.შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება №60.1999;

გ. იპოთეკის ხელშეკრულება №400253406-021;
დ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საჯარო რეესატრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო გეგმა;
ე. ხელშეკრულება სოლიდარული ვალდებულებების შესაახებ;
ვ. საკრედიტო ხელშეკრულება №60.1279;
ზ. კრედიტის დაფარვის გრაფიკი;
თ. ხელშეკრულება სოლიდარული ვალდებულებების შესახებ №670257605-0442
ი.ხელშეკრულება სოლიდარული ვალდებულებების შესახებ №600029955-0442;
კ. მიმართვები ჰამზალი მამედოვის დავალიანების აღრიცხვის შესახებ;
ლ. გაფრთხილების წერილები მსესხებელს და სოლიდარულ მოვალეებს საქმის სასამართლოში გადაცემასთან დაკავშირებით.
მ. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
ნ. ჰამზალი მამედოვის, ვაგიფ აღამედოვის და ბაჰლულ ნამაზოვის პირადობის მოწმობის ასლები;
ო. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
პ. ბაჟის ქვითარი;
ჟ. საგადასახადო დავალებები ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე;
რ. მინდობილობა;
ს. განჩინება 30.04.2009წ.

2. მოპასუხე **ჰამზალი მამედოვს** სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე სარჩელზე დართული საბუთების შესახებ შესაგებლის (პასუხის) წარმოსადგენად განესაზღვროს 07 (შვიდი) დღე. მასვე განემარტოს, რომ შესაგებელი შედგენილი უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (როგორც წესი, ნაბეჭდი სახით).

3. მოპასუხე **ჰამზალი მამედოვს** ასევე ეცნობოს შემდეგი:

3.1 მოპასუხე ვალდებულია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად) წერილობით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული საბუთების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოს ისინი სასამართლოს ჩაბარებიდან 07 (შვიდი) დღის ვადაში.

3.2 წერილობით შედგენილ პასუხში უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები:

ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც მას შეაქვს პასუხი;
ბ) მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი (შესაგებელი) შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მათ შორის, მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. პასუხში (შესაგებელში) შესაძლოა მოპასუხემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის

მონაცემები. თუ მოპასუხე იურიდიული პირია ან ინდივიდუალური მეწარმეა – თავად მოპასუხე, ხოლო თუ მას ჰყავს წარმომადგენელი (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა) – მისი წარმომადგენელი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი;
გ) ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს და რა ნაწილში;
დ) თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ;
ე) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;
ვ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;
ზ) არსებობის შემთხვევაში, მოპასუხის შუამდგომლობები:
ზ.ა) ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ და ა. შ.;
ზ.ბ) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;
ზ.გ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;
ზ.დ) სხვა სახის შუამდგომლობები;
თ) პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;
ი) მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.
3.3 პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

3.4. პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

3.5. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

3.6. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.

3.7. მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა, წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.

3.8. პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

4. სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები მოპასუხე ჰამზალი მამედოვს ჩაბარებულად ჩაეთვალოს საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს და ამ დღის მომდევნო დღიდან აითვალოს შესაგებლის შემოტანის ვადა.

5. მოპასუხეს ეცნობოს, რომ საქმის მოსამზადებელი სხდომა გაიმართება 2014 წლის 6 აგვისტოს 13:00 საათზე სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სხდომის დარბაზი N3.

6. სიღნაღის რაიონული სასამართლოს განჩინება განთავსებულ იქნას ვებგვერდზე www.geocourts.ge და სიღნაღის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე (სტენდზე) 2014 წლის 14 ივლისიდან.

7. სარჩელისა და თანდართული საბუთების გზავნილის ჩაბარება მოპასუხეს შეუძლია სიღნაღის რაიონული სასამართლოს კანცელარიაში (მის. ქ.სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ.№15).

8. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილი

ასლი დედანთან სწორია
სიღნაღის რაიონული სასამართლო
სალმოდასა: ... 03 07 2014